

კია საქართველო
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 31 დეკემბერი 2022

შპს "კია საქართველო"
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	12-37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კია საქართველო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელებსა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კია საქართველო“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველის” ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორად 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით ძირითადი საშუალებების ფიზიკური დათვალიერება. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვამახვილებთ ყურადღებას საკითხზე, რომელიც წარმოიშვა აუდიტის პროცესში მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ძირითადი საშუალებების რეესტრთან დაკავშირებით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომპანიამ დაიწყო დეტალური ფიზიკური შემოწმების პროცესი, ჩვენ წავაწყდით გამოწვევებს ძირითადი საშუალებების რეესტრის საცდელ ბალანსთან შედარებისას. ამ შეუსაბამობამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ჩვენს შესაძლებლობას, ზუსტად განგვესაზღვრა თითოეული ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება, ასევე შეგვესრულებინა არსებობასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი პროცედურები. ძირითადი საშუალებების რეესტრის საცდელ ბალანსთან შედარების შეუძლებლობის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულება ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ძირითადი საშუალებების არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე. შესაბამისად, აღნიშნული აფერხებს ჩვენს შესაძლებლობას, მოვიპოვოთ შესაბამისი მტკიცებები შეფასების სიზუსტესა და სისრულეზე მის შედეგებთან ერთად.

ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენი აუდიტის პროცედურების დროს გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება გაყიდვებისა და შესყიდვების გაცვლითი კურსების გაანგარიშების საკითხს ავანსებთან დაკავშირებით, რომელიც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს (ბასს) 21, „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“. მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია მარაგების შეფასების, გაყიდვებისა და თვითღირებულების კურსის გამოსათვლელად არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ ნორმას, რაც იწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში პოტენციურ შეცდომებს. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი გაცვლითი კურსს გაყიდვებისა და შესყიდვებისთვის, შესაბამისი ავანსის თარიღის გაცვლითი კურსის ნაცვლად. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება კვალიფიცირებულია მათი მატერიალური გავლენის გამო მარაგების შეფასებაზე და მათი შესაბამისი ზემოქმედების გამო გაყიდვებსა და გაყიდვების თვითღირებულებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ეს არის კომპანიის აუდიტის პირველი წელი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარისი მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 21 თებერვლით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

- ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.
- „ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:
- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავეგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

26 თებერვალი 2024

შპს არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი

გიორგი კვინიკაძე

შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	767,478	831,197
არამატერიალური აქტივები		192	240
საინვესტიციო ქონება		453,474	-
აქტივის გამოყენების უფლება	4	1,089,639	301,522
სხვა აქტივები		877	877
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,311,660	1,133,836
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	5,635,054	913,528
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	490,603	1,722,757
გადახდილი ავანსები	7	8,574,533	9,025,322
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	107,472
ფული და ფულის ექვივალენტები	8	6,764,448	3,591,780
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,464,638	15,360,859
სულ აქტივები		23,776,298	16,494,695
მფლობელთა კაპიტალი		3,041,393	3,559,878
გაუნაწილებელი მოგება		860,121	(4,965,827)
სულ კაპიტალი		3,901,514	(1,405,949)
საიჯარო ვალდებულებები	12	736,031	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		736,031	-
მიღებული ავანსები	11	10,049,326	11,547,766
მიღებული მოკლევადიანი სესხები	10	8,461,389	5,272,780
საიჯარო ვალდებულებები	12	257,522	316,090
საგადასახადო ვალდებულებები		67,730	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	302,786	764,008
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,138,753	17,900,644
სულ ვალდებულებები		19,874,784	17,900,644
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,776,298	16,494,695

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავლები	13	45,039,213	20,250,261
თვითღირებულება	14	(37,207,292)	(16,833,083)
საერთო მოგება		7,831,921	3,417,178
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,105,774)	(1,495,295)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი	17	(280,681)	(133,000)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	18	(225,295)	(90,918)
წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	18	(771,946)	(543,651)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	15	1,558,483	533,283
საპროცენტო შემოსავალი	19	247,854	44,471
საპროცენტო ხარჯები	19	(743,169)	(309,079)
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	20	409,284	1,886,930
მოგება დაბეგვრამდე		5,920,677	3,309,919
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5,920,677	3,309,919
სულ სრული შემოსავალი		5,920,677	3,309,919

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი

შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		4,120,194	(6,690,351)	(2,570,157)
წლის მოგება		-	3,309,919	3,309,919
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	3,309,919	3,309,919
კაპიტალის უკან გატანა		(560,315)	-	(560,315)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის		3,559,879	(4,965,828)	(1,405,949)
წლის მოგება		-	5,920,677	5,920,677
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	5,920,677	5,920,677
კაპიტალის უკან გატანა		(518,485)	-	(518,485)
წინა წლის კორექტირებები		-	(94,729)	(94,729)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის		3,041,394	860,120	3,901,514

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი

შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		5,920,677	3,309,919
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	16	326,211	255,723
წმინდა ფინანსური ხარჯი	19	743,169	309,079
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	6	225,295	90,918
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	20	(534,479)	(301,259)
წინა წლის კორექტირებები		(94,729)	-
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		6,586,144	3,664,380
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები	5	(4,721,526)	1,339,199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,430,047	(6,927,310)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	(2,260,839)	11,107,078
საგადასახადო ვალდებულებები		175,202	(57,257)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,209,028	9,126,090
გადახდილი პროცენტები	19	(40,360)	48,761
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები		1,168,668	9,174,851
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(763,946)	(730,387)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	253,361	-
კაპიტალის უკან გატანა		(518,485)	(560,315)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები		(1,029,070)	(1,290,702)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		3,221,260	(5,229,564)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		3,221,260	(5,229,564)

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	8	3,591,780	1,050,750
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		3,360,858	2,654,585
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(188,190)	(113,555)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	8	6,764,448	3,591,780

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს "კია საქართველო" არის საქართველოში კორეული ბრენდი KIA-ს ოფიციალურად ლიცენზირებული იმპორტიორი და ავტომობილების დილერი. "KIA" ქართულ ბაზარზე 2008 წელს შემოვიდა და მომხმარებლებს სთავაზობს თანამედროვე მანქანების ფართო არჩევანს, თუმცა ფასი/ხარისხის შესანიშნავი თანაფარდობით. კომპანია სწრაფად გახდა ერთ-ერთი ლიდერი ქართულ ბაზარზე ახალი ავტომობილების გაყიდვის კუთხით და მისი თბილისის შოუ-რუმი და სერვისის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს KIA მანქანების სრულ ხაზს და მანქანის მოვლის საგარანტიო მომსახურებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან შპს „ბუტიკგრუპი“ (40%), შპს „ნიუ ინვესტ კომპანი“ (30%) და შპს „რეინვესტი“ (30%), ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - შპს „ბუტიკგრუპი“ (50%) და შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ (50%).

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით. საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. COVID-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტივობისა და ინვესტიციების შემცირებამ, გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს სტანდარტები") თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერები კომპანიის მიერ აღიარებულია იმ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ცვლილება.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია მეათასედებამდე სიზუსტით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2022 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები.

საწყისი აღიარების შემდგომ, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღში მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი რეგულარულობით, რათა ნარჩენი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს სამართლიანი ღირებულებისგან საანგარიშგებო თარიღში.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- მანქანა-დანადგარები - 20%-40%
- სატრანსპორტო საშუალებები - 20%-40%
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 15%-30%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- **რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით:** ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

- **რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით:** აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(გ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

(დ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ ხარჯებსა და მასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე), მაგრამ არ შეიცავს საპროცენტო ხარჯებს. მარაგების შესყიდვის ხარჯები მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის გადასახადებსა და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ შემდგომი ანაზღაურებადი გადასახადებისა) და ტრანსპორტირების, დამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება მზა საქონლის, მასალებისა და მომსახურების შეძენას. სავაჭრო ფასდაკლებები გამოიქვითება შესყიდვის ხარჯების განსაზღვრისას.

ნეტო რეალიზებადი ღირებულება არის სარეალიზაციო სავარაუდო ფასი ბიზნესის ჩვეულებრივ საქმიანობაში, დაუმთავრებელი წარმოების დასრულების სავარაუდო ხარჯებისა და გაყიდვის განხორციელებისათვის საჭირო სავარაუდო ხარჯების შემცირებით.

(ე) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ვ) კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში. გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას/(ზარალს).

ყველა ტრანზაქცია მშობელი კომპანიის მფლობელებთან აღირიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(ზ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(თ) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201 მუხლის (ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი) მიხედვით ქონების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, ამასთან პირი ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზურფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით).

(ი) შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ავტომობილების რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5

საფეხურიანი პროცესს:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია;
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე;

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება;

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესარულზე ვალდებულებებს, მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს.

(კ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

2.2 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებსა და შეფასებებს აკეთებს ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონიერული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასურებს მისი ქონების, სასრული სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისათვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა ღონისძიებების შედეგად. ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასური გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასარგებლო სიცოცხლე ნაკლებია ვიდრე ადრე შეფასებული სიცოცხლე, ან ტექნიკურად მოძველებული ან არა სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა, ჩამოიწერება ან ჩამოიწერება.

3. ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	134,403	163,956	152,846	120,690	571,895
შემოსვლა	3,000	4,566	597	721,347	729,510
2021 წლის 31 დეკემბერი	137,403	168,522	153,443	842,037	1,301,405
შემოსვლა	91,735	81,363	123,028	14,346	310,472
გასვლა	-	(144)	(77,504)	(175,713)	(253,361)
2022 წლის 31 დეკემბერი	229,138	249,741	198,967	680,670	1,358,516
დაგროვილი ცვეთა					
2020 წლის 31 დეკემბერი	131,659	115,212	28,418	76,312	351,601
წლის ცვეთა	547	33,389	30,585	54,085	118,606
2021 წლის 31 დეკემბერი	132,206	148,601	59,003	130,397	470,207

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

წლის ცვეთა	6,664	15,655	13,732	84,780	120,831
2022 წლის 31 დეკემბერი	<u>138,870</u>	<u>164,256</u>	<u>72,735</u>	<u>215,177</u>	<u>591,038</u>
საბალანსო ღირებულება					
2021 წლის 31 დეკემბერი	<u>5,197</u>	<u>19,921</u>	<u>94,440</u>	<u>711,640</u>	<u>831,198</u>
2022 წლის 31 დეკემბერი	<u>90,268</u>	<u>85,485</u>	<u>126,232</u>	<u>465,493</u>	<u>767,478</u>

კომპანიის ძირითადი საშუალებები საანგარიშგებო პერიოდისთვის სრულად დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა 10).

ცვეთის ხარჯი აღრიცხულია ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 16).

4. აქტივის გამოყენების უფლება

ქართული ლარი	შენიშვნები
ღირებულება	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	438,578
ზრდა	1,170,841
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,609,419
დაგროვილი ამორტიზაცია	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(137,056)
ამორტიზაციის ხარჯი	(382,724)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(519,780)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	301,522
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,089,639

საიჯარო ვალდებულება მოიცავს ფიქსირებულ ყოველთვიურ გადახდებს.

იხილეთ მე-12 განმარტებითი შენიშვნა 2022 წლის განმავლობაში საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯის შესახებ.

5. მარაგები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილები	5,128,366	46,730
სათადარიგო ნაწილები	426,557	866,798
სხვა	80,131	-
	<u>5,635,054</u>	<u>913,528</u>

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღიარებული მარაგის ხარჯი არის 37,201,350 ლარი (2021 წელს: 16,724,510 ლარი) (იხილეთ შენიშვნა 14).

ყველა მარაგი ჩაგირავებულია ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით (იხილეთ შენიშვნა 10).

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები ავტომობილების გაყიდვიდან	569,612	1,727,055
მოთხოვნები სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან	220,781	178,536
მოთხოვნები საგარანტიო მომსახურების ანაზღაურებაზე	254,766	133,058
ანარიცხები მოთხოვნების გაუფასურებაზე	(561,876)	(336,581)
სხვა მოთხოვნები	7,320	20,689
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	490,603	1,722,757

ყველა მოთხოვნა მოკლევადიანია. მათი წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია, რომ გონივრულად მიახლოებულია მის რეალურ ღირებულებასთან.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა შესადარის პერიოდებში შემოწმებულია გაუფასურების ინდიკატორებზე.

2022 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საბოლოო ნაშთი შეჯერებულია სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ნაშთთან შემდეგნაირად:

ქართული ლარი	2022	2021
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	336,581	245,663
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	426,023	182,111
წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნების რეზერვი	(200,728)	(91,193)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	561,876	336,581

7. გადახდილი ავანსები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ავანსები ავტომობილებისთვის	8,017,873	8,920,494
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	476,378	21,467
ავანსები მომსახურებისთვის	37,510	35,660
სხვა	42,772	47,701
ავანსები	8,574,533	9,025,322

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	3,388	3,016
ფული საბანკო ანგარიშებზე	6,761,060	3,588,765
	6,764,448	3,591,781

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22 (ბ)-ში.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონლის შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	250,581	189,293
საიჯარო ვალდებულება (საიჯარო გადასახადები)	21,145	553,558
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	3,461	6,303
სხვა	27,899	14,854
	302,786	764,008

სავაჭრო ვალდებულებების არ ერიცხება პროცენტი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22 (ბ)-ში.

10. სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	8,461,389	5,272,780	-	-
	8,461,389	5,272,780	-	-

უზრუნველყოფილი ბანკის სესხები დენომინირებულია დოლარში, ევროსა და ქართულ ლარში და სრულდება 1 წელიწადში. უზრუნველყოფილი ბანკის სესხები ევროში არის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით, წლიურად 7,49%. უზრუნველყოფილი საბანკო სესხები ქართულ ლარში არის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით, წლიურად 15.5%.

ბანკის სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მოძრავი და უძრავი ქონებით.

სესხები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 22 (ბ)-ში.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

11. მიღებული ავანსები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ავანსები ავტომობილებისთვის	8,955,106	10,757,352
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	583,778	749,661
ავანსები მომსახურებისთვის	456,346	-
სხვა	54,096	40,753
	10,049,326	11,547,766

კომპანიას მანქანებისთვის მიღებული აქვს ავანსების მნიშვნელოვანი ოდენობა, რადგან კომპანია მსხვილ კონტრაქტებზე (მაგალითად, სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ან მსხვილ კორპორატიულ კლიენტებთან მანქანების მიწოდების კონტრაქტებით), ჩვეულებრივ, ჯერ აგროვებს თანხას კლიენტებისგან და შემდეგ აწვდის მანქანებს.

12. საიჯარო ვალდებულებები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	257,522	316,090
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	736,031	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	993,553	316,090

საიჯარო ვალდებულებების დეტალური მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	316,090	-
ახალი იჯარის დამატება	1,127,043	438,578
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	62,765	17,706
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(521,345)	(140,194)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	993,553	316,090

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი სასესხო განაკვეთები.

13. შემოსავალი

ქართული ლარი	2022	2021
ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	42,633,555	18,605,447
სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1,786,553	1,236,655
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	619,105	398,401
სხვა შემოსავალი	-	9,759
	45,039,213	20,250,261

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ქართული ლარი	2022	2021
გაცივებული ავტომობილების თვითღირებულება	35,704,498	16,061,558
გაცივებული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	1,496,852	662,952
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5,942	108,572
	37,207,292	16,833,083

15. სხვა შემოსავალი

ქართული ლარი	2022	2021
მწარმოებლების მიერ ანაზღაურებული საგარანტიო ხარჯები	427,007	491,891
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	79,566	-
გადასახდელი ვალდებულებების ჩამოწერა	635,470	-
წინა წლების კორექტირებების შებრუნება	297,202	-
სხვა	119,238	41,392
	1,558,483	533,283

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული შედარებების საფუძველზე გადასახდელი ნაშთები ჩამოიწერა სხვა შემოსავალში: შპს ნიუ ინვესტ კომპანი - 542,559,35 ლარი, ILCE Tasimacilik A.S. - 92 910,46 ლარი.

16. ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი	985,218	719,941
ცვეთა და ამორტიზაცია	469,860	255,723
წარმომადგენლობითი ხარჯი	115,573	2,155
საბანკო მომსახურების ხარჯი	97,010	30,832
სადაზღვევო ხარჯი	84,105	47,532
კომუნალური ხარჯი	68,171	48,458
უსაფრთხოების ხარჯი	24,203	17,786
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	22,504	22,362
საწვავის ხარჯი	21,627	15,606
საკანცელარიო ხარჯი	4,738	1,804
კომპიუტერული ხარჯი	3,949	1,933
კომუნიკაციის ხარჯი	3,012	2,928
რემონტის ხარჯი	1,400	791
იჯარის ხარჯი	4,538	177,053
სხვა	199,866	150,391
	2,105,774	1,495,295

შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

17. დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი

ქართული ლარი	2022	2021
გაყიდული ავტომობილების გაფორმების ხარჯი	167,676	73,225
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	99,981	52,417
ტრანსპორტირების ხარჯი	13,024	7,358
	280,681	133,000

18. სხვა ხარჯები

ქართული ლარი	2022	2021
უიმედო ვალების ხარჯი	225,295	90,918
გაწეული საგარანტიო ხარჯი	243,126	452,090
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	399,767	91,561
ჯარიმები	33,268	-
ძირითადი საშუალებების ხარჯი	50,407	-
სხვა	45,378	-
	997,241	634,569

19. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ქართული ლარი	2022	2021
ბანკისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	(743,169)	(291,373)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	-	(17,706)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ ფინანსური ხარჯი	(743,169)	(309,079)
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	247 854	44 471
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი	247,854	44,471
წმინდა ფინანსური ხარჯი	(495,315)	(264,608)

20. მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან

ქართული ლარი	2022	2021
სავალუტო კურსის გავლენა ფინანსურ აქტივებზე	(576,730)	(199,008)
სავალუტო კურსის გავლენა ფინანსურ ვალდებულებებზე	986,014	2,085,938
	409,284	1,886,930

21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

გაცემული სესხების ამოღებადობა

კომპანიას გაცემული აქვს მნიშვნელოვანი სესხები გაცემული დაკავშირებულ მხარეებზე. ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფი შეძლებს ამ აქტივის ამოღებას და არ არის აუცილებელი გაუფასურების აღიარება, თუმცა რეალური გარემოებები მომავალში, შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მიმდინარე მოლოდინებისა და შეფასებებისგან.

ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

როგორც შენიშვნა 4-შია აღწერილი, კომპანიის საინვესტიციო ქონება ჩადებულია სს თიბისი ბანკთან ვალდებულების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 10) 2021 და 2020 წლების მდგომარეობით. თუკი კომპანია ვერ დააკმაყოფილებს მის ვალდებულებებს, მან შესაძლოა ვერ განაგრძოს ოპერირება ჩვეული მასშტაბით და იძულებულიც კი გახდეს შეწყვიტოს თავისი ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ზემოთ აღწერილმა გარემოებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის შესაძლებლობაზე, განაგრძოს ოპერირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 2.1-ში.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

თითოეული კატეგორიის აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება

შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზებული ღირებულება:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	490,603	1,722,757
ფული და ფულის ექვივალენტები	6,764,448	3,591,780
	7,255,051	5,314,537
სულ ფინანსური აქტივები	7,255,051	5,314,537

ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>ამორტიზებული ღირებულება:</i>		
გრძელვადიანი სესხები	8,461,389	5,272,780
მიმდინარე სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	308,786	764,008
	8,764,175	6,036,788
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,764,175	6,036,788

ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

ბ) უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები აქვს უცხოელ

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო

რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული

ოფიციალური კურსით:

ერთეული	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი		
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული და საბანკო ანგარიშები	276,444	3,009,370
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	11,885,560
	<u>276,444</u>	<u>14,894,930</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,513,683	106,723
სესხები	-	8,461,389
	<u>5,513,683</u>	<u>8,568,112</u>
წმინდა პოზიცია	<u>(5,237,239)</u>	<u>6,326,818</u>
ერთეული	დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი		
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული და საბანკო ანგარიშები	49,772	2,481,749
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	774	134,879
	<u>50,546</u>	<u>2,616,628</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	94,092	-
სესხები	4,947,899	4,989,660
	<u>5,041,991</u>	<u>4,989,660</u>
წმინდა პოზიცია	<u>(4,991,444)</u>	<u>(2,373,032)</u>

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 15% (2021: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2021: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2021: 15%) განაკვეთით. ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15% ით (2021: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ქართული ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2022	2021	2022	2021
მოგება/ზარალი	(785,586)	(748,717)	949,023	(355,955)
	(785,586)	(748,717)	949,023	(355,955)

გ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო

საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადაც კომპანიას არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა რომ კომპანია დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისგან.

დ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა სხვადასხვა ფინანსური აქტივებისგან, ბანკში ფლობილი ნაღდი ფულის და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურ ბაზაზე ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

ე) სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე 2022 წლის 31 დეკემბრამდე და 2022 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ სფი ინფლაცია, ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაფერისი ფაქტორი დამსაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით ასეთია:

2022 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	13%	-	-
1-დან 6 თვემდე	80%	-	-
6-დან 1 წლამდე	100%	4,244	4,244
1 წელზე მეტი	100%	557,632	557,632
		561,876	561,876

2021 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	13%	1,903,241	253,090
1-დან 6 თვემდე	80%	26,027	20,911
6-დან 1 წლამდე	100%	4,221	4,221
1 წელზე მეტი	100%	58,360	58,360
		1,991,849	336,582

ვ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდის უუნარობას.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასახო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს კომპანიის კონტრაქტის დაფარვის ვადამდე არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებს შეთანხმებული გადახდის პერიოდის მიხედვით. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		7%	
ერთ წელზე ნაკლები	302,786	8,461,389	8,764,175
	302,786	8,461,389	8,764,175

2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური ერთ წელზე ნაკლები	764,008	11%	12,343,958
	764,008	11,579,949	12,343,958

ლიკვიდურობის რისკის შესაბამისად ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

რეალური ღირებულება

კომპანია გთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც

თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია რეალური ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3

დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – რეალური ღირებულება განისაზღვრება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარებზე მოპოვებული კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- დონე 2 – რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა,
- რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ ფასების მიხედვით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და;
- დონე 3 - რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით (არადაკვირვებადი მონაცემები).

კომპანიას არ აქვს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. კომპანიას ასევე არ აქვს არაფინანსური აქტივები ან ვალდებულებები შეფასებული რეალური ღირებულებით განმეორებადობის საფუძველზე, ან რომელთათვისაც რეალური ღირებულება ცნობილია.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და აკუმულირებულ მოგებას/(ზარალს). მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი)

ქართული ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
<i>წმინდა ვალი</i>		
სესხები	8,461,389	5,272,780
მინუს: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(6,764,448)	(3,591,780)
	1,696,941	1,681,000
<i>კორექტირებული საკუთარი კაპიტალი</i>		
სულ კაპიტალი	3,901,514	(1,405,949)
წმინდა ვალისა და კორექტირებული საკუთარი კაპიტალისთანაფარდობა	0.43	(1.20)

23. გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს უძრავი ქონება. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს

კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული.

თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

24. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი კომპანიის ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირებულია როგორც მოცემულია ქვემოთ:

ქართული ლარი	სესხები	სულ
ფულადი ნაკადები	9,052,638	9,052,638
ფულადი ნაკადები		
შემოსულობა	13,932,760	13,932,760
გადახდები	(12,559,940)	(12,559,940)
გადახდილი პროცენტები	(229,626)	(229,626)
არაფულადი		
დარიცხული პროცენტები	278,136	278,136
საკურსო სხვაობა მოგება/(ზარალი)	(479,415)	(479,415)
2021 წლის 31 დეკემბერი	9,994,553	9,994,553
ფულადი ნაკადები		
შემოსულობა	3,221,260	3,221,260
გადახდილი პროცენტები	(40,360)	(40,360)
არაფულადი		
დარიცხული პროცენტები	743,169	743,169
საკურსო სხვაობა მოგება/(ზარალი)	(735,459)	(735,459)
რეკლასიფიკაცია	(4,721,774)	(4,721,774)
2022 წლის 31 დეკემბერი	8,461,389	8,461,389

25. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მშობელი კომპანია, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებენ შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ და შპს „ბუტიკგრუპი“, რომლებიც ფლობენ კომპანიის წილის 50%-50%-ს.

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები:

ქართული ლარი	2022	2021
ტრანზაქციები		
საქონლის რეალიზაცია	4,943	4,372
მომსახურების ანარიცხები	2,676	1,481
შემოსავალი სესხებიდან	-	-
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	-	-
მომსახურების შეძენა	71,355	8,590

შპს "კია საქართველო"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სესხის დაფარვა	-	-
	78,974	14,443
აქციონერები		
საქონლის რეალიზაცია	2,251	747
მომსახურების ანარიცხები	-	943
მოგების განაწილება	11,750	-
გადასახდელი ვალდებულებების ჩამოწერა	542,559	-
	556,560	1,690
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
საქონლის რეალიზაცია	2,589,274	155,056
მომსახურების ანარიცხები	1,407	356
საქონლის და ნედლეულის შეძენა	91,844	169,488
მომსახურების შეძენა	376,696	5,542
	3,059,222	330,442

25.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელებთან და ოჯახის ახლო წევრებთან

მმართველმა ხელმძღვანელებმა მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

ქართული ლარი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	140,045	70,152
	140,045	70,152

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 26 თებერვალს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

- აქციონერთა კაპიტალი შპს ბუტიკგრუპ-მა 6,124,600 ლარით გაზარდა. კომპანიამ 4,488,822 ლარის ოდენობით დივიდენდები გასცა.
- ტრანსკომავტო და შპს კია საქართველო-ს შორის ანგარიშსწორების ხელშეკრულება დამტკიცდა 11/05/2023 სასამართლო პროცესთან დაკავშირებით, ტრანსკომავტო-სგან მიღებული ავანსის შესახებ 25/08/2017 კონტრაქტის საფუძველზე. შეთანხმების თანახმად, შპს „კია საქართველო“ ავანსს დააბრუნებდა 25%-იანი ფასდაკლებით. შედეგად მიღებული ავანსი შპს კია საქართველოს -ს მიერ 25/95/2023 წელს დაბრუნდა და ფასდაკლება სხვა შემოსავლად აღიარდა 2,050,855.49 ლარის ოდენობით.

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კია საქართველო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კია საქართველო“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორად 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით ძირითადი საშუალებების ფიზიკური დათვალიერება. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ვამახვილებთ ყურადღებას საკითხზე, რომელიც წარმოიშვა აუდიტის პროცესში მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ძირითადი საშუალებების რეესტრთან დაკავშირებით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომპანიამ დაიწყო დეტალური ფიზიკური შემოწმების პროცესი, ჩვენ წავაწყდით გამოწვევებს ძირითადი საშუალებების რეესტრის საცდელ ბალანსთან შედარებისას. ამ შეუსაბამობამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ჩვენს შესაძლებლობას, ზუსტად განგვესაზღვრა თითოეული ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება, ასევე შეგვესრულებინა არსებობასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი პროცედურები. ძირითადი საშუალებების რეესტრის საცდელ ბალანსთან შედარების შეუძლებლობის გამო, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადო აუდიტორული მტკიცებულება ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ძირითადი საშუალებების არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე. შესაბამისად, აღნიშნული აფერხებს ჩვენს შესაძლებლობას, მოვიპოვოთ შესაბამისი მტკიცებები შეფასების სიზუსტესა და სისრულეზე მის შედეგებთან ერთად.

ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ჩვენი აუდიტის პროცედურების დროს გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ეხება გაყიდვებისა და შესყიდვების გაცვლითი კურსების გაანგარიშების საკითხს ავანსებთან დაკავშირებით, რომელიც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტს (ბასს) 21, „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“. მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია მარაგების შეფასების, გაყიდვებისა და თვითღირებულების კურსის გამოსათვლელად არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ ნორმას, რაც იწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში პოტენციურ შეცდომებს. კომპანია იყენებს საშუალო შენონილი გაცვლითი კურსს გაყიდვებისა და შესყიდვებისთვის, შესაბამისი ავანსის თარიღის გაცვლითი კურსის ნაცვლად. შესაბამისად, ჩვენი მოსაზრება კვალიფიცირებულია მათი მატერიალური გავლენის გამო მარაგების შეფასებაზე და მათი შესაბამისი ზემოქმედების გამო გაყიდვებსა და გაყიდვების თვითღირებულებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ეს არის კომპანიის აუდიტის პირველი წელი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარისი მაჩვენებლები და ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 510-ის (საწყისი აუდიტის სამუშაოები - საწყისი ნაშთები) მოთხოვნები შესრულებულია იმდენად, რომ დავრწმუნდეთ საწყისი მაჩვენებლები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია წაკითხული უნდა იქნას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის აუდიტორის ანგარიშთან ერთად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას.

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 21 თებერვლით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

- ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.
- „ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:
- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე

მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

26 თებერვალი 2024

შპს არესემ საქართველო

RSM Georgia

მმართველი პარტნიორი

გიორგი კვინიკაძე



შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	767,478	831,197
არამატერიალური აქტივები		192	240
საინვესტიციო ქონება		453,474	-
აქტივის გამოყენების უფლება	4	1,089,639	301,522
სხვა აქტივები		877	877
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,311,660	1,133,836
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	5,635,054	913,528
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	490,603	1,722,757
გადახდილი ავანსები	7	8,574,533	9,025,322
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	107,472
ფული და ფულის ექვივალენტები	8	6,764,448	3,591,780
სულ მოკლევადიანი აქტივები		21,464,638	15,360,859
სულ აქტივები		23,776,298	16,494,695
მფლობელთა კაპიტალი		3,041,393	3,559,878
გაუნაწილებელი მოგება		860,121	(4,965,827)
სულ კაპიტალი		3,901,514	(1,405,949)
საიჯარო ვალდებულებები	12	736,031	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		736,031	-
მიღებული ავანსები	11	10,049,326	11,547,766
მიღებული მოკლევადიანი სესხები	10	8,461,389	5,272,780
საიჯარო ვალდებულებები	12	257,522	316,090
საგადასახადო ვალდებულებები		67,730	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	302,786	764,008
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,138,753	17,900,644
სულ ვალდებულებები		19,874,784	17,900,644
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		23,776,298	16,494,695

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი



შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
 დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავლები	13	45,039,213	20,250,261
თვითღირებულება	14	(37,207,292)	(16,833,083)
საერთო მოგება		7,831,921	3,417,178
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(2,105,774)	(1,495,295)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი	17	(280,681)	(133,000)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	18	(225,295)	(90,918)
წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	18	(771,946)	(543,651)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	15	1,558,483	533,283
საპროცენტო შემოსავალი	19	247,854	44,471
საპროცენტო ხარჯები	19	(743,169)	(309,079)
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	20	409,284	1,886,930
მოგება დაბეგვრამდე		5,920,677	3,309,919
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		5,920,677	3,309,919
სულ სრული შემოსავალი		5,920,677	3,309,919

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი




შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	4,120,194	(6,690,351)	(2,570,157)
წლის მოგება	-	3,309,919	3,309,919
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	3,309,919	3,309,919
კაპიტალის უკან გატანა	(560,315)	-	(560,315)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,559,879	(4,965,828)	(1,405,949)
წლის მოგება	-	5,920,677	5,920,677
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	5,920,677	5,920,677
კაპიტალის უკან გატანა	(518,485)	-	(518,485)
წინა წლის კორექტირებები	-	(94,729)	(94,729)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3,041,394	860,120	3,901,514

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
 ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი



შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		5,920,677	3,309,919
მოგება დაბეგვრამდე			
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	16	326,211	255,723
წმინდა ფინანსური ხარჯი	19	743,169	309,079
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	6	225,295	90,918
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	20	(534,479)	(301,259)
წინა წლის კორექტირებები		(94,729)	-
ფულადი სახსრები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		6,586,144	3,664,380
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
მარაგები	5	(4,721,526)	1,339,199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,430,047	(6,927,310)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	(2,260,839)	11,107,078
საგადასახადო ვალდებულებები		175,202	(57,257)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,209,028	9,126,090
გადახდილი პროცენტები	19	(40,360)	48,761
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები		1,168,668	9,174,851
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(763,946)	(730,387)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	3	253,361	-
კაპიტალის უკან გატანა		(518,485)	(560,315)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) წმინდა ფულადი სახსრები		(1,029,070)	(1,290,702)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		3,221,260	(5,229,564)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		3,221,260	(5,229,564)

შპს "კია საქართველო"
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	8	3,591,780	1,050,750
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		3,360,858	2,654,585
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(188,190)	(113,555)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის	8	6,764,448	3,591,780

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 26 თებერვალს.

დირექტორი

გიორგი ამაშუკელი



[Handwritten signature in blue ink]

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს კია საქართველოს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობისა და ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2024 წლის 26 თებერვალს გამოცემული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხებისა.

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2024 წლის 26 თებერვალი

RSM Georgia





მმართველობითი ანგარიშგება 2022

წლის შედეგების მიხედვით

I. დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, კომპანიის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი. ჩვენ შევძელით დასახული გეგმების რეალიზაცია, რაც ჯგუფის ყველა თანამშრომლის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ფინანსური თვალსაზრისით კომპანიამ შეძლო და შეასრულა დასახული ამოცანების ნაწილი.

კია საქართველო გამოცდილი, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. კია საქართველოს აქვს ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობს სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2022 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კია საქართველოს მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2023 წელშიც.

შპს კია საქართველოს დირექტორი
გიორგი ამაშუკელი



შპს კია საქართველოს საქმიანობის მიმოხილვა

შპს კია საქართველო (KIA) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წელს. KIA არის კორეული ბრენდის, KIA-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.



კომპანიის შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან 2022 წელს 45,039,213 ლარს შეადგენდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2021 წლის მონაცემს (2021: 20,052,261 ლარი). კომპანიაში 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 39 შეადგინა.

კია საქართველოს საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2022 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

	2021	2022	%
ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	წელი	წელი	ცვლილებები
შემოსავალი	20,250,261	45,039,213	+122%
თვითღირებულება	(16,833,083)	(37,207,292)	+121%
საერთო მოგება	3,417,178	7,831,921	+129%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,495,295)	(2,105,774)	+41%
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი	(133,000)	(280,681)	+111%
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	(90,918)	(225,295)	+148%
წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	(543,651)	(771,946)	+42%
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	533,283	1,558,483	+192%
საპროცენტო შემოსავალი	44,471	247,854	+457%
საპროცენტო ხარჯები	(309,079)	(743,169)	+140%
წმინდა მოგება სავალუტო გადაფასებიდან	1,886,930	409,284	-78%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,309,919	5,920,677	+79%
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება	3,309,919	5,920,677	+79%
სულ წლის სრული შემოსავალი	3,309,919	5,920,677	+79%

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

	31-Dec-21	31-Dec-22	სხვაობა
აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,133,836	2,311,660	+104%
სულ მიმდინარე აქტივები	15,360,859	21,464,638	+40%
სულ აქტივები	16,494,695	23,776,298	+44%
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3,559,878	3,041,393	
გაუნაწილებელი მოგება	-	860,121	
სულ მფლობელთა კაპიტალი	-	3,901,514	+278%
ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	736,031	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	17,900,644	19,138,753	+7%
სულ ვალდებულებები	17,900,644	19,874,784	+11%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	16,494,695	23,776,298	+44%

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2021	2022
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.81	0.83
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.86	1.12
ფინანსური ლევერიჯი	109%	84%

2022 წელს კომპანიამ გაზარდა სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ხოლო მკვეთრად გაზრდილია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც წინა წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 0.86 ნიშნულს, გაიზარდა 1.12-მდე. რეალურად სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტიც 1-ზე მეტს შეადგენს ფაქტიური რეალიზაციებიდან გამომდინარე, რადგან 2022 წლის ბოლოს არსებული მარაგების 95%, 2023 წლის პირველ კვარტალში არის რეალიზებული, მენეჯმენტის და გუნდის მოქნილი სალიკვიდაციო პოლიტიკის შედეგად.

რაც შეეხება ფინანსურ ლევერიჯს, 109%-დან 2022 წლის ბოლოს კომპანია ვალდებულებების შეფარდებით აქტივებთან შეადგენს 84%-ს. აღნიშნული კიდევ გაუმჯობესდება, როდესაც შემდეგი წლის აუდიტის რეპორტში სრულად აისახება ძირითადი საშუალებები სრული მოცულობით.

ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2021	2022
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	-235%	152%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	20%	25%

2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) ძალიან დიდი ზრდით აღინიშნება და შეადგენს 152%-ს, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კომპანია ძალიან ეფექტურად საქმიანობს მოგების შექმნის და დამფუძნებლების ღირებულების ზრდის თვალსაზრისით.

მცირედით, მაგრამ მაინც გაუჯოგბესებულია ერთიანი აქტივების რენტაბელობაც, თუმცა მცირე ზრდა თავის მხრივ იმით არის გამოწვეული, რომ კომპანიას წინა წელსაც ისედაც მაღალი მაჩვენებელი გააჩნდა ინდუსტრიის კოეფიციენტების გათვალისწინებით. რეალურად ერთიანი აქტივების რენტაბელობა საკმაოდ მაღალია, რაც ნიშნავს რომ აქტივების გამოყენება ხდება ეფექტურად და საკმარისად მომგებიანი შემოსავლის შესაქმნელად.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა

კომპანიას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული აქვს საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა გათვლილია სამ წელიწადზე. მასში მოყვანილი მონაცემები მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ საპროგნოზოა და ეყრდნობა გასული წლის არსებულ მონაცემებსა და კომპანიაში დაგეგმილ აქტივობებს. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებები - ნარჩენების შემცირება / მინიმიზაცია ან ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია გულისხმობს ნარჩენების შემცირებას წარმოქმნამდე. ხშირად ზედმეტი ნარჩენის წარმოქმნა ხდება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ან ცუდი დაგეგმვის შედეგად. ნარჩენების მინიმიზაცია რეალურად ამცირებს იმას, რასაც ჩვენ გამოვიყენებთ და შესაბამისად, ნარჩენს, რომელსაც წარმოვქმნით. ნარჩენების შემცირებას კომპანია აღწევს სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგალითად: ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა.

ნარჩენების მართვა კომპანიაში ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უსაფრთხო მართვის პროცესი მოიცავს:

- ნარჩენების იდენტიფიკაციას მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვით, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირება ისეთი ფორმით, რომ გამორიცხულ იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;
- ნარჩენების, სერვის-ცენტრში დროებით (შემდგომ ტრანსპორტირებამდე) დასაწყობება-შენახვისათვის გამოყოფილი ადგილის პერიოდული მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

დამატებით კომპანიამ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი. რომლის ძირითადი მოვალეობებია:

- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის მომზადება და გაახლება
- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის განხორციელების ორგანიზება;

- ✓ ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება.

კომპანიის მომსახურე პერსონალს ეტაპოვრივად, განახლებად რეჟიმში უტარდება ტრენინგები ზოგადად ნარჩენების მართვის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ნარჩენების დროებით დასაწყობება/შენახვის მეთოდების, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესახებ.

საკადრო პოლიტიკა

ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესი კომპანიაში მიმდინარეობს ყოველი წლის მეოთხე კვარტალში. ამ მიზნით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი აკეთებს საშტატო ერთეულების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს ოპტიმიზაციის გეგმას, განსაზღვრავს ახალი კადრების საჭიროებას.

2022 წელს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 39 ადამიანს შეადგენდა. 2021/2022 წლების საშტატო ერთეულების ანალიზის შედეგების მიხედვით დამატებითი კადრების საჭიროება არ დამდგარა.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2022 წელს კომპანიას კვლევებისა და განვითარების სფეროში დამატებითი ღონისძიებები არ ჩატარებია.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და მომსახურება.

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ქვეყანაში ამ დროისათვის საავტომობილო ბაზრის რეგულაციების არარსებობა. სამომავლოდ სახელმწიფომ შესაძლებელია მიიღოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც საავტომობილო წარმოების ადგილობრივი ბაზრის შექმნას შეუწყობს ხელს, რაც ზიანს მოუტანს იმპორტიორ კომპანიებს.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში და ცვლილება, რომლის თანახმადაც კომპანია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსიდან.

რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცებებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი - კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. კომპანია არ ახორციელებს

სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.

შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

კომპანიას გააჩნია ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი – სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშგაღებულა ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას. ამასთან, დაწესებულების ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი ხელმძღვანელებისგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე აზიარებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ანგარიშს, რომელიც წარედგინება კომპანიის დამფუძნებლებს და დირექტორს;

ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ფარგლებში ანგარიშების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომპანიის ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, ისე ჯგუფის ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა. ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ანგარიშების პროცესი ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) ყოველკვირეულად (მიმდინარე გაყიდვების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი)

ბ) ყოველთვიურად (თვის ფინანსური ანგარიშების, ბიუჯეტთან შედარების, გაყიდვების, ფულის მოძრაობის და საპროგნოზო ოპერაციების ანალიზი)

გ) კვარტალურად (ყველა ბ კატეგორიაში აღნიშნულ ანალიზთან ერთად ჯგუფის პერსპექტივების ანალიზი, სვით ანალიზი, მიმდინარე კოეფიციენტების, ბრუნვაძობის ანალიზი და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივების და რისკების ანალიზი);

დ) წლიურად (ბ და გ პუნქტში აღნიშნული საკითხებისგან დამატებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა, გასული წლის დეტალური ანალიზი, ახალი მიზნების ჩამოყალიბება და მოცემული მიზნების მიღწევის გეგმის შედგენა).

აღნიშნული სახით ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში აღმოჩენილი იქნას ფინანსური რისკები ან და ბიზნესის პერიოდული რყევები დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში. მოცემული გარემოებების დადგენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატიური ანგარიშების წარდგენით ჯგუფი ეფექტურად ოპერირებს ბიუჯეტით დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, პარტნიორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას. აღნიშნული ძალიან კარგად ცნობილია მმართველი რგოლისთვის, კომპანიის დინამიკა ნათლად ასახავს ფინანსური

მდგრადობის დონეს და კომპანიის მიმართლებას უმოკლეს დროში ფინანსური ლევერიჯის მაქს ზღვარი გახდეს 50%-ზე ნაკლები.

სამართლებრივი რისკები.

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარისი მოქნილობა მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

კომპანია მიმდინარე პერიოდში ძირითადად საკრედიტო ვალდებულებების ნაწილში იყენებს მოკლევადიან დაფინანსებებს, რომლის მიზნობრიობაც წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების, უმეტესად ავტომობილების შეძენას. საკრედიტო ლიკვიდურობა პირდაპირ კავშირშია მოცემული საბრუნავი საშუალებების რეალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის წყარო არის ამავე კრედიტით შეძენილი ავტომობილების რეალიზაცია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკვეთებს, შეკვეთის განთავსება ხდება როგორც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (კორპორატიული კლიენტი), ასევე ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (საცალო კლიენტი). ხელშეკრულებით გამყარებულ ნაწილში, როგორც წესი ფულის ლიკვიდურობის რისკი ფაქტიურად არ არსებობს. რაც შეეხება ხელშეკრულების გარეშე არსებულ შეკვეთებს, მოცემულ შემთხვევებში ჯგუფში შემავალი კომპანიები აკეთებენ არჩევანს სტატისტიკაზე დაყრდნობით, სადაც პრიორიტეტი მინიჭებულია სწრაფად რეალიზებად პროდუქციაზე. როგორც წესი მარაგის რეალიზაციის ციკლი მერყეობს 3-6 თვის შორის. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ვადების დარღვევის რისკი, კომპანია მოცემული ვადის გასვლამდე სხვადასხვა აქციებით და ფასდაკლებებით ახდენს მის დაზღვევას/მინიმუმამდე დაყვანას.

კომპანია ავტომობილების რეალიზაციას უმეტესად კონსიგნაციის გარეშე ახდენს, რაც ნაღდი ფულის ბრუნვის რისკს თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, კომპანიის სტაბილური საოპერაციო საქმიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ ლიკვიდურობის მაღალი რისკის წინაშე არ დადგეს.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის შპს “არ-ეს-ემ საქართველოს” მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა კომპანიის 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია საავტომობილო ინდუსტრიის სფეროში. აღნიშნულს კომპანია დიდი ტემპებით ანხორციელებს, რაც წლიდან წლამდე ანგარიშგებაში წარმოდგენილი რეალიზაციების და სხვადასხვა მაჩვენებლების სხვაობებში ნათლად აისახება.